„ასოთა მკვლევართა შეხედულება, მეტსტერო ეს თვალსაზრისით გრფაზულობად, დარწმუნებ, რომ სომხური ანბანი თავის წარმოშობით ამ მართოდ ან ნაწილობრივ დამოკიდებულა შემიწებების ნაყოფია, იუნგერი მოიხილავს ან ნაწილობრივ მოხილავსა უკავშირდება ან წარმოადგენს ნიშნებს და ძველსაბასტული იტალიურად, ამ ძეგლ ქალდრისა და ამ იო ახალ დაფარე, ანასტას, ირანულ, ფილიკურ, პალმირული, არამეული, ესტრანგელის, სირიული, კობტური, ეთიოპური თუ ბერძნულ დაწერილობების“⁵.

იქნოს ამ დნის მეტსტერიულ კვლევა-ძიებათა მიუხედავად არკერიო თორია თუ თვალსაზრისით, სომხური დაწერილობის წარმოშობის შესახებ პიოტოზა არ ჩანს, სანეცნეფიო ლიტერატორაში არკერიო თორიის პიოტოზა გზარბაგებული არ ყოფილა.

იროს რამ იხაიდა, შიდარბიბობა მითლოდ, შიდარბიბი მიღობის საფუძველი სომხური დაწერილობის წარმოშობის ძიებას ნაყოფი არ გამოიღო. მაგრამ ამ ძიების უძეფიოდ არ ნაყოფია სარჩოს გაციოდეს სთამაოდ დავცნა: სომხური დაწერილობის ასო-ნიშნების, რომელიც მინდა დაწერილობის ასო ნიშნებათა შესაბამის ფორმებს და გრადული მსგავსებას ვერ პოვობთ.

დასკვნის საბო შედეგად ითქვას: სომხური დაწერილობის წარმოშობის პრობლემა ზერ კიდევ გარკვეული არ არის და ცნობილი პალეოგრაფის მანს იენსენის თქმის ან იყო, ეს საფუძველი საბოლოო ამოცნობას მოიითხოვს.

II

ამ უკანასკნელ ხანებში სომხური ანბანის შესწავლა ხელ სხვა მიმართულებით წარმოებოა. საკითხის კვლევას ახალი გეზი მიეცა. რასაც პიოტოზა შეიძლება გრფაზულობა შეიღვი უწოლოდ. პიოტოზტა ამ თვალსაზრისით სომხური მეტსტერებთა აქედენის წევრ-კარგისპონდენტ პროფ. გურამის სიკვამ კეთვების.

1962 წლის ირანში ცალკე უძეფად გამოქვეყნდა პროფ. ა. სიოის ნაშრომი: «Месроп Маштоц. Создание армянских письмен и словенности». ა. სიკვა წერს:

«...Ни одна из букв Месропа (за исключением, пожалуй буквы Ф) по своему изображению и звуковому значению не является заимствованием из какого-либо иностранного языка... Месроп Маштоц, поставив перед собой цель создать письмена, отличные от иноязычных, отказался от закона тождественности и применил принцип условности... Достаточно расположить односторонние буквы Месропа по группам, чтобы убедиться, что одну букву он выволил из другой, наделив каждую из них каким-нибудь отличительным признаком. Вот эти группы»:

Ր, Ը, Բ || Բ, Ե, Ը, Ե || Ր, Ի, Ի, Խ || Ե, Լ, Վ, Կ, Դ, Գ || Ս, Ա, Խ, Ս, Տ || Ս, Ո, Ի || Շ, Զ, Զ, Գ, Գ, Զ, Ս, Ծ || Ր, Բ, Ժ և Ծ.

ტა. № 2

«Отсюда ясно видно, что в пределах каждой группы одну букву отличает от другой лишь перемещение какой-нибудь черточки или изменение позиции...
 «Уже одно то, что Месроп действовал по закону преобразования, т. е. по принципу создания новых письмен путем изменения начертания букв, показывает, что одну букву он выволил из другой, наделив каждую из них каким-нибудь отличительным признаком. Вот эти группы»:

⁷ რ. ავანთან. სომხური დაწერილობა. ვენა. 1928 წ. (სომხურ ენაზე) გვ. 191.

Ա Վ Ճ Ռ
 Բ Ի Մ Ս
 Գ Լ Յ Ա
 Դ Զ Խ Դ
 Ե Ը Ը Ը
 Զ Թ Կ Յ
 Է Ը Զ Ի
 Ը Թ Գ
 Թ Ը Ը Ը

ტა. № 1

ნაშრომის მიერ შექმნილი სომხური დაწერილობის „დედანი“
 ესარგებოთ უახლესი მეტსტერიული მონაცემები და აქვე ამ-
 ვენებში მე-5 საუკუნის „ეტრაპაგირის“ ანბანს (იხ. ტა. № 1).⁶

სომხური ანბანის ასოთა რიგი ასეთია: ა, ბ, გ, დ, Գ, Խ, Զ, Է, Ը, Թ, Կ, Զ.

⁴ იე. ვაგნიშვილი. ქართული პალეოგრაფია. მოკლე გამოცემა. თბილისი, 1949 წ. გვ. 224-203; 236-238; 266-272
⁵ სხვადასრული საშენირო ლიტერატურა ამ წყაროების შესახებ შემდეგ: Корнн, Жизнь Маштоца, Ереван, 1962 г.
⁶ იუნგ ვაგნიშვილი ძველი სომხური სასტრიაო მწერლობა. ტფილისი, 1935 წ. Գ. Халатян. Армянские Аршакины в «История Армении» Моисея Хоренского. М. 1903 г. Н. Алоци. Незнаестные страницы из жизни Маштоца и его учеников по неармянским источникам. Нан-дес Амсгрей. 1925 г. და სვ.

⁷ ძირითადი განსწავლული პალეოგრაფი პროფ. კ. ლაფაბიანის შესაბამისად: «История армянского письма», «Надпись Токерского храма V века и армянский алфавит с месропским письмом» და სხვა. აგრეთვე უძველესი სომხური ეპიგრაფიკული ძეგლებს ეფუძნება.



შემდეგ, რადგან მე-8 კვეჩულის პირველ გრაფემას დამატებითი ნიშანი ზემოთ მოუღის, ხლო მე-9 კვეჩულის პირველ გრაფემას შუაში (თუ რა მიზეზით, ამის შესახებ ზემოთ ითქვას), ამის გამო ორივე კვეჩულის მესამე გრაფემებს დამატებითი ნიშნებად, ერთ შემოხვევაში კვეშა და მეორე შემოხვევაში ზემო ვერტიკალით აქვია, რადგან გრაფემის მოპირკვედილი ნაწილი მარჯვნივ წარჩაღულ შორიზონტალს ვეღარ შეიძლება დაკლდე ერთ შემოხვევაში, მე-8 კვეჩულის მესამე გრაფემას, პირიქითდნა-

დეროგეს თვალსაზრისით, სომხურ ანბანში გამოყენებული ასოთა მოდულივითი ეთიოპური პრინციპი ამ განსხვავებით, რომ თუ ეთიოპურ დამწერლობაში ეს პრინციპი ვაკალიზაციას ემსახურება, სომხური ანბანის შემქმნელი ამ პრინციპს სომხური ანბანური გრაფემების შესაქმნელად იყენებს, ხოლო შესახებ კარგად წერს დ. ოლდაროგე.

...In building the Armenian alphabet, Mashtotz— knew the prin ciples underlying the Ethiopian written language. The serifs or rings above, in the middle or beneath the letter in the Ethiopian alphabet has a definite semantic meaning — they serve as vocal modifiers. The Mashtotz alphabet follows the same principle of modifications — the addition of serifs and rings to the body of the letter. However, the addition of these serifs and circles was not dictated by the need for vocalization — that was needless. The Armenian written language of Mashtotz was a purely alphabetical system.

In compiling his alphabet Mashtotz used some additional serifs. Apparently, the material from which he moulded the letters was provided by the symbols which then were current in Armenia and the neighbouring countries, i. e., different alphabetical symbols of the Aramaic or Pahlavi origin. However, Mashtotz gave them a definite form and patterned them as the Ethiopian syllabic letters. In shaping individual letters Mashtotz made provisions for their graphic modifications, as in the Ethiopian written language, in which these modifications had a functional significance...¹⁶

რა კავშირია ეთიოპურ და სომხურ დამწერლობებს შორის? ეთიოპური ანბანი თავის წარმოშობი სომხური-სენტურ დამწერლობის უკუშორდება, მაგრამ ვაკალიზაციის პრინციპი ეთიოპურ ანბანში ჩვენი წვლილ-რიცხვის მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში უნდა შემოეღოთ. რაში მდგომარეობს ეს პრინციპი?

რაკი, ეთიოპურ ანბანს ხმოვანები არ გააჩნდა, ამიტომ ეთიოპური გახ. მოყვებულ ანბანს უკველი თანხმეგანი შედინარიად დაიწერა, იმის მიხედვით, თუ რომელ ხმოვანთან უნდა წავისუფლო. ამიტომ უკველ თანხმეგანს შედილ გრაფიკული სახე-სხვაობა გაუნდა, ეთიოპური დამწერლობა კი, ფაქტობრივად, მარცვლოვან დამწერლობად იქცა.

თუ ეთიოპურ ანბანში სულ 28 ასო-ნიშნია, ხლო თვითველ გრაფემას შეიდი სხვადასხვა მონახულობა აქვს — ეთიოპურ გამოყენებულ ანუ უაკალიზებულ ანბანში სულ 26×7=182 გრაფემად. (იხ. ტაბ. № 8).

განსაკუთრებით საყურადღებოა ვაკალიზებული ეთიოპური დამწერლობის პირველი ასო-ნიშნი „ሀ“. იგი აღმა ნახუსებურ გრაფემას წარმოადგენს და თავისი მონახულობით სომხური ანბანის პირველ გრაფიკული სიტემის პირველ გრაფემას უდრის (იხ. ტაბ. № 8).

[ሀ | ሁ | ሂ | ሃ | ሄ | ህ | ሆ]

ტაბ. № 9

ვკრთველ საყურადღებოა ეთიოპური დამწერლობის ასო „ሀ“, იგი დაღმა ნახუსებურ გრაფემას წარმოადგენს და თავისი მონახულობით სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სიტემის მე-2 კვეჩულის პირველ გრაფემას უდრის. (იხ. ტაბ. № 10).

[ሀ | ሁ | ሂ | ሃ | ሄ | ህ | ሆ]

ტაბ. № 10

თუ ეთიოპურ ანბანში გრაფემის შედინარი სახესხვაობა, გრაფემის მოდიფიკაცია გამოყენებული ანბანის განხორციელების, ვაკალიზაციის პრინციპად, სომხურ ანბანში პირველი ეთიოპური, აღმა-ნახუსებური გრაფემის მოდიფიკაცია გამოყენებულია სომხური ასო-ნიშნების გამოყენების მიზნით („სემზური“ ჩუღუის დარღვევები).

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ტაბ. № 11

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ሀ ሁ ሂ ሃ ሄ ህ ሆ

ტაბ. № 8

ღური ხაზის ნაცვლად, დამატებითი ნიშნად კვანის მხაგის ნიშანი აქვს, უკველივე ეს გრაფიკული მრავალფეროვნების შეიძლება იქნეს აღიერიტეს. დამატებითი ნიშნების გამო კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: ეს ნიშნები გრაფემებს მოდილი მარჯვენა მხარეს და მარჯვნივ არიან წარჩაღულნი, ერთი გამოწვევისის გარდა; მესამე კვეჩულის პირველ გრაფემას დამატებითი ხაზი მარცხენი მოუღის და გრაფემის მარცხენი არის წარჩაღული. (ამ ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ საუბარი გვექმნება სხვა დროს, ქართული ასომთავრულ დამწერლობის განხილვისას).

უკრთვენტრია თუ არა ასო-ნიშნების გამოყენების ეს გრაფიკული მეთოდი, რომელსაც სომხური ანბანის შემქმნელი იყენებს? აჯად. დ. ოლ-

¹⁶ D. Oldarog. დასახ. ნაშრომი გვ. 9-10:

ცხადია, ამ შემთხვევაშიაც სომხური ანბანის ერთფეროვანი გრაფიკული ნახაზი მეტად თვალსაჩინო იქნებოდა. სომხური ანბანის შექმნულმა ფაქტორს ეს მძიო. ამით მან წიწვების ზომით მიყვანილი გრაფიკული თანამიმდევრობა დააღრღია და მსგავსი თუ პარალელური წიწვების ერთმანეთს დააშორიშორა. ე. ი. სომხური ანბანის გაწყობის პირველ ეტაპზე დაირღვა გრაფიკული თანამიმდევრობა ნაოსტებური გრაფემების, ხოლო შემდეგ მთელი ანბანის გაწყობისას, ჩვეულებრივი ანბანური რიგაც ფონემებისას. ეს რაც შეეხება პირველ, ნაოსტებური გრაფემების, სისტემას, მაგრამ ამას გარდა გვაქვს მეორე და მესამე გრაფიკული სისტემები: „რკალსებური“ და „კუფონიანი“. შესაბამისად, სომხურ ანბანში „კუფონი“, „კუროთული“ და „ბერძნული“ გრაფემები ცალ-ცალკე რომ გამოყოფილიყო, სომხური ანბანი სამ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ გრაფემად დაწალიდებოდა. ჭერ გვექნებოდა „ნაოსტებური“ გრაფემები, შემდეგ „რკალსებური“ და ხოლოში სამი, კვად გრაფიკულად განსხვავებული „ბერძნული“ გრაფემები. ამ შემთხვევაში სომხური ანბანის გრაფიკული ნახაზი, თუნდაც მსგავსი „ნაოსტებური“ და „რკალსებური“ გრაფემების დაშორიშორებისა, კვლავ თვალსაჩინო შეიქნებოდა. სომხური ანბანის შექმნული ისე არ მოქცეულა მან „რკალსებური“ გრაფემები „ნაოსტებურ“ გრაფემებს შორის დაწალიდა, რის შედეგად „ნაოსტებური“ გრაფემები ერთმანეთს უფრო მეტად დააშორიშორა. მაგრამ ახ ბედი ეწია „რკალსებური“ გრაფემების თანამიმდევრობას? ხომ შეიძლება ეს გრაფემები „ნაოსტებურ“ გრაფემებს შორის აღა-ალაგ იმ თანამიმდევრობით ჩართულიყო, რა თანამიმდევრობითაც შეიქმნა. სომხური ანბანის შექმნულმა ეს შესაძლებლობა უარყო.

ამის გამო უნდა ითქვას შემდეგი: „ნაოსტებური“ და „რკალსებური“ გრაფიკული სისტემების ურთიერთს შეუღლებობა, დავინახავთ, რომ მათი შექმნა-გამოგონების მეთოდი

სხვადასხვაა. „ნაოსტებური“ გრაფემების გრაფიკული თანამიმდევრობა ანტიანბანური ფონემური მნიშვნელობა მიენიჭა, რის გამოც ანბანზე გაწყობისას ნაოსტებურ გრაფემებს ადგილები შეენაცვლა და მათი გრაფიკული ნათესაობის ნიშან-წყალი წაიშალა ე. ი. „ნაოსტებურის“ სისტემაში გრაფიკა პირველადია, ხოლო მათი ფონემური მნიშვნელობა შემოტანილია.

რაც შეეხება „რკალსებურ“ გრაფემებს, აქ აწინააღმდეგო ვითარება გვაქვს. „რკალსებურის“ სისტემაში ფონემური მნიშვნელობა პირველადია, რადგან მათი გრაფიკული თანამიმდევრობა შექმნილია ქართული ასო-ნიშნების ანბანურ-ფონემური თანამიმდევრობის საფუძველზე და ამდენად მათი გრაფიკა — მეთორბეულია. ამიტომაც „ნაოსტებურის“ სახიზის პირად „რკალსებურისა“ გრაფიკული თანამიმდევრობა ანბანურ-ფონემურ თანამიმდევრობას მისდევს.

სომხური ანბანის შექმნულმა „რკალსებური“ გრაფემების გადადგილებისა და ადგილმანაცვლების საშუალებით თავიდან აიცილა ამ გრაფემების როგორც გრაფიკული, ისე ანბანურ-ფონემური თანამიმდევრობა. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს გრაფემები „ნაოსტებურ“ გრაფემებს შორის გაიფანტა მათი ანბანურ-გრაფიკული თანამიმდევრობის კვალი წაიშალა, ანბანის დასასრულის აღნიშვნულად ქრისტეს შინაგარეშა დაიხა, ხოლო სომხურმა ანბანმა თანაშემიერად მრავალფეროვანი და ერთიანი გრაფიკული სახე მიიღო. მხოლოდ ამ გრაფიკული ნიღაბზე უნდა აიხსნას ასო-ნიშნების ის უჩვეულო რიგი, რომელიც სომხურ ანბანში გვაქვს: ა, ბ, გ, დ, ე, ზ, მ, ჯ, თ, ე, ი, ლ (რბილი), ხ, წ, ქ, ძ, ძ, ლ, შ, მ, ა, ნ, შ, ო, ჩ, ა, რ (კოტი), ს, ვ, ტ, რ (ფაფური) ც, ჳ, ფ, ქ.

ასეთია სომხური ანბანის სტრუქტურის ხასიათი და ამ სტრუქტურის გამოშვები მიზეზებიც.



დ. ერისთავი
სტალიონა



მართა ზაკრევესკაია

ნიკუჩუხელი სიძლარე

მერაბ თაბუკაშვილი

გამოჩენილი მომღერალი მართა ივანეს ასული ზაკრევესკაია 1931 წლიდან 1937 წლამდე თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე წამყვან პარტიებს ასრულებდა. დაიბადა 1885 წელს. მუსიკალური განათლება კიევში ტუტკოვსკის მუსიკალურ სასწავლებელში მიიღო მისი დის — გამოჩენილი მომღერლისა და პედაგოგის დრუ-ზაიკინას ხელმძღვანელობით. იშვიათი სილამაზის ლირიკო-კლორიატული სოპრანო ჰქონდა.

პირველად 1905 წელს გამოვიდა სცენაზე და ამ დროიდან დაწყებული გასტროლებით მოგზაურობდა ხარკოვში, ოდესაში, პეტერბურგში, მოსკოვში, ბაქოში, რიგაში. 1910 — 1916 წლებში

მოსკოვში გასტროლებზე ხშირად იმყოფებოდა დიდი იტალიელი მომღერალი ბატისტინი. „მოელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრებით დავალებული ვარ ამ უდიდესი მომღერლისაკენ. იგი დიდი სიყვარულითა და მოძღობებით მებზარებოდა, რომ დავი-სტატებულყავი“. გვიამბობს მხეცოვანი ხელოვანი.

მართა ზაკრევესკაია მუშაობდა გამოჩენილ ლირიკორებთან: პაპოვსკისთან, სტოლერ-მანთან, არბენინთან, ევგენი მიქელაძესთან, ივანე ფალაშვილთან და სხვებთან. იგი ხშირად მღეროდა ლენინი სობი-ნოვთან ერთად ნაპარკიანის ოპერაში „დუბროვსკი“; სადაც მათს პარტიას ასრულებდა, ხოლო „ლოუნგინში“ — ელზა-

სას. თედორე შალიაპინთან ერთად მონაწილეობდა გუნოს „ფაუსტში“ — გამოდიოდა მარგარიტას როლში. სახელოვან ქართველ მომღერლებთან — სანდრო ინაშვილიანსა და ნიკო ქუშინაშვილთან ერთად მღეროდა პუჩინის ოპერა „ტოსკანი“. საყვარელი პარტიორი იყო აზერბაიჯანისა და საქართველოს სახალხო არტისტის ფატმა მუხტაროვასი „იდილი“ და „კარმენში“.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიხეილ ვვარელაშვილი თავის წიგნში „მოგონებები გამოჩენილ მომღერლებზე“ წერს: მასთვის ჩვენ ერთად ვმღეროდით ბოროდინის ოპერა „თავად იგორში“. იაროსლავნას — მართა ივანეს ასული, მე კი — ვლადიმერს.

მაგონდება, რა ნაზი და გულთბილი დედა იყო, რა გულწრფელი მეუღლე იგორისა. მასში განსახიერებელი იყო მეუღლისა და დედის სცენურად უტყუარი, ხოლო ვოკალურად ამაღლებული და ამაღლებული რუსი ქალის სახე.

ცნობილ ოპერებში მომღერალი ქალი თითქმის ყველა ლირიკო-კლორიატურულ პარტიებს ასრულებდა. ეს გახლდათ „აი-და“, „პიკის ქალი“, „ტოსკა“, „იოლანტა“, „ევგენი ონეგინი“, „მაზეპა“, „თავადი იგორი“, „ბალ-მასკარადი“, „პუგენიონები“, „ალი“, „აბესალომ და ეთერი“ და სხვ.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი შესრულებით ტატიანას პარტია ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“, რომელსაც ევგენი მიქელაძე ღირსიერობდა.

„როგორ შემიძლია ცრემლის გარეშე მოვიგონო ეს გასაოცარი შემოქმედი, იშვიათი ადამიანი და მოქალაქე, რამდენი სიხარული და შემოქმედებითი ბუნებრივება დაკავშირებული ევგენი მიქელაძის სახელთან! — იგონებს მართა ზაკრევესკაია.

დიდი ზაქარია ფალაშვილი სიკვდილის სარცხელზე იყო, როდესაც მას უთხრეს, რომ „აბესალომ და ეთერი“ ეთერის პარტიას ვამზადებდი. მს ძალზე გაუხარდა და ბარათი გამოიჩუხა. მამხნევებდა და მწერდა, რომ ჩემს ხმას ეთერის პარტია განსაკუთრებით მოუხდებოდა.

განსაკუთრებით ჩამჩრა მესსიერებაში დიდი პართეული რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებას წლისთავის აღსანიშნავი საღამო, სადაც ვაგნერის ნაწარმოები შევასრულე.

მართა ზაკრევესკაია სცენიდან წასვლის შემდეგ პედაგოგად მუშაობდა თბილისის კონსერვატორიაში, საოპერო სტუდიის მოწვევებით. ამჟამამდეც თბილისში ცხოვრობს.

ლენინგრადის საოპერო არქივში ინახება მისი სიმღერის ჩანაწერები, რომლებსაც დრომ ვერაფერი დაკლო და დღესაც მშვენიერად ჟღერს.

იოანე მინჩისი პირთი სეგალმეხელი

ლიანა კვირიკაშვილი

სინას მითს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის საშუალებით დიდი ხანია ცნობილი ვახდა, რომ № 2 ხელნაწერში (რომლის ფოტოპირივე არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში), აღწერილია X საუკუნის ქართველი პოეტის — იოანე მინჩისი — საგალობელი წმინდა გიორგიზე¹. თავად ხელნაწერის სპეციალისტები XII საუკუნით ათარიღებენ. აკად. ივ. ჯავახიშვილის ძეგლის მითს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა² შეიცავს შემოადინებული თხზულების ტექსტს, რომელსაც ბოლო უკითხა. აკად. კ. კეკელიძე არცვებს ამ ძეგლთან დაკავშირებულ ზოგიერთ ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხს³. მეკვლევარმა პ. ინგოროვამ პოეტური ნაწარმოების სახით გამოაქვეყნა იოანე მინჩისის საგალობლის ნაწილი. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილის აღწერილობაში, ისე აკად. კ. კეკელიძის

«ქართული ლიტერატურის ისტორიასა» და მეკვლევარ პ. ინგოროვას «გიორგი მერჩულეში» ვითხოვლობით, რომ იოანე მინჩისი თხზულება წმინდა გიორგის შესახებ წარმოდგენილია სინას მითს № 2 ხელნაწერის 3ა—4ხ ფურცლებზე. სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ამ ხელნაწერის ასახელებენ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის შემცველად. რადგან მასში მე-4ხ ფურცელზე ნაწარმოებია არ მთავრდება (ბოლო სიტყვა გაწყვეტილია), ხოლო მომდევნო გვერდზე არ გრძელდება, ამიტომ, ერთი შეხედვით, საქმის ვითარება ისეთია, თითქოს იოანე მინჩისის საგალობელი სრულად არ შემონახულა. როგორც აღვნიშნეთ, აკად. ივ. ჯავახიშვილმა ეს ნაწარმოები ბოლონაკულად წარმოადგინა. აკად. კ. კეკელიძე წერს: „საგალობელთა ხელნაწერში ბოლო დაკარგულია, აგრისტიკი თავდება სიტყვა «წინაშე»-ზე»⁴.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეს დასკვნა დაზუსტებას მოითხოვს. იოანე მინჩისის საგალობელს, ე. წ. კანონს, სინურ ხელნაწერში წინ უძღვის ნაწარმოები, რომელსაც აწერია: «სხუანი გალობანი წმიდისა გეორგისისა» (ფ. 2ა — 3ა); ხოლო ეს კანონი მოსდევს საგალობელს, რომელიც სტიქარონისაგან შეიცავს და რთული ხელნაწერის პირველ გვერდებზე (ფ. 1ა — 2ა) არის წარმოდგენილი. ამ კანონს აქ თავი აკლია. ერთი სიტყვით, ხელნაწერის პირველ ოთხ ფურცელზე მოცემული სამი კანონიდან მხოლოდ მეორეს აქვს სრული სახე, პირველი თავნაკულია, მესამე (იოანე მინჩისი) — ბოლონაკული. მეხუთე ფურცელზე იწყება ხომეზბის ოთხი საგალობლები. ხელნაწერი ორი თვის — ნოემბრისა და დეკემბრის — საგალობლებისაგან შედგება. განცალკევებული ჩანს პირველი ოთხი ფურცელი, დაწერილი იმავე ხელთ, რომლითაც ხელნაწერის ძირითადი ნაწილი. გამოსარკვევია — საიდან მოხდა აქ ეს ფურცლები. ვვარაუდობდით, რომ ისინი ამავე ხელნაწერის შუა ადგილიდან თავში იყო გადატანილი ფურცელთა თანამიმდევრობის დარღვევის შედეგად; კერძოდ, შემოადინებული ფურცლებით შესასვები ხარვეზი უნდა გვეყვია წმინდა გიორგის ხსენების თარიღებზე მოთავსებულ ნაწარმოებებში.

ათ ნოემბრის შესარულებლად განკუთვნილი საგალობელი, რომელიც იწყება სინური ხელნაწერის ფ. 23ხ-ზე, დაკულია აგრეთვე იერუსალიმის № 124 ხელნაწერში⁵. მისთვის რედაქცია გაუწევია დიდი ქართველ მოღვაწეს — გიორგი მთაწმიდელს. როცა ამ ორ ხელნაწერს ერთმანეთს ვადარებდით, დავინახეთ, რომ სისურ ხელნაწერში ხარვეზი არსებობს 23-ე და 24-ე ფურცლებს შორის. სწორედ 23-ეს უნდა მოსდევდეს პირველი ოთხი ფურცელი; მაშინ სრულად იქნება წარმოდგენილი თავნაკული საგალობელი, რომელსაც უკავია ფ. 1ა — 2ა, და იოანე მინჩისის კანონი.

ამრიგად, სინას მითს № 2 ხელნაწერში, ათი ნომეზბის თარიღზე, მოთავსებულია სამი კანონი წმინდა გიორგის შესახებ. არსებული პაგინაციის მიხედვით, პირველ მათგანს შეიცავს ფ. 23ხ და 1ა — 2ა (23ხ-დან გრძელდება 1ა-ზე), მეორეს — ფ. 2ა — 3ა, მესამეს, იოანე მინჩისის თხზულებას, — ფ. 3ა — 4ხ და 24ა — 25ა (4ხ-დან გრძელდება 24ა-ზე). ეს ჩვენთვის ნათელი ვახდა იერუსალიმის № 124 ხელნაწერის საშუალებით, რომელშიც წარმოდგენილია პირველი ორი კანონი (გვ. 507 — 514). წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ საგალობელთა დასახელებულ სინურსა და იერუსალიმურ ნუსხებს შორის მცირედები განსხვავება შეინიშნება.

იოანე მინჩისის კანონის კიდურწერილობაც ადასტურებს, რომ ეს ძეგლი სრულად არის შემონახული სინას მითს № 2 ხელნაწერში. ტექსტს წარწერილი აქვს, რა უნდა იკითხებოდეს ტროპართა დასაწყისი ასობით: „უ — ოგ — ი, შეწყვიტ — ი მეფესა წ — ემ — დგთა

3 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 171.

4 პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერლის მათეო საუკუნისა, თბილისი, 1954, გვ. 183-184, I, გვ. 172.

5 ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 172.
6 იერუსალიმის ხელნაწერის ფოტოპირის საშუალებით გაცემილი საწარმოების სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

¹ ივ. ივ. ჯავახიშვილი, სინას მითს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასაბუთებლად მოაზრდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა, თბილისი, 1947, გვ. 11.
² ივ. 145-149.

მ — ფისა და ადიფი. საგალობლის ნაწილი, მოცემული იმ ფურცლებზე, რომლებსაც უთითებენ დღემის (3ა — 4ბ), კილორწერილობით იძლევა შემდეგს: „წმიდაგი ვიგორი, შევეცი ვიგორის მეფეს წინაშე მ: წინადადება ასე სრულდება საგალობლის გიგორი ნაწილის ტროპარა დასაწყისი ასოებით, — ნაწილისა, რომელსაც შეიცავს ფ. 24ა — 25ა: „ეუფეთსი მეფისა და ადიფი“. ასე რომ კილორწერილობით იკითხება: „წმიდაგი ვიგორი, შევეცი ვიგორის მეფეს წინაშე მეუფეთსი მეფისა და ადიფი“. მაშასადამე, 24ა — 25ა ფურცლებზე წარმოდგენილი ტექსტი უნდა მივიჩნიოთ ითავნე მინის საგალობლის გაგრძელებად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ გიორგი მთავარმთავარის კიმორწერილობა კრებულში (H — 2336) შეტანილი ერთი კანონი წმინდა გიორგის შესახებ ითავნე მინის საგალობლის ვერსიას წარმოადგენს. მას უკავია ფ. 192ა — 197ა. გიორგი მთავარმთავარი აღნიშნულ კანონს მიქელს უკავშირებს. ეს სახელი წარწერილობა ამაზე იქ, სადაც იწყება ტექსტი (ფ. 192ა). პ. ინგოროვეცს ვარაუდით, საგალობლის ავტორი იყო ქართული მოღვაწე, სახელად მიქელი, შესაძლებელია — მიქელ მორდეკელი. პატივცემული მკვლევარი ასე მსჯელობს: „გიორგი მთავარმთავარის თავის „ითუვენი“ შექმნიდა ძველი ქართული ტექსტები, როგორც თარგმნილი ბერძნულიდან, ასე ირიგინალური ქართული. ხოლო არამდენადაც ბერძნულ ლიტერატურაში უცნობია კიმორწერი მიქელის სახელით, საფირბეული ხდება, რომ მიქელი, აღმწერილი ამ გალობათა, ქართველი ავტორია. არაა გამორიცხული, რომ ეს მიქელი იყავს იგივე მიქელ მორდეკელი. საკითხის საბოლოო გადაწყვეტას აწვდის ის ვარაუდი, რომ მიქელ მორდეკელის კრებულს ავლია სწორედ ის ნაწილი, რომელშიაც მოთავსებული იყო 23 IV-ის თარიღის საგალობელი, ასე რომ ჩვენ არ გვეკვირს საშუალება შევაიწყოთ, იყო თუ არა ეს გალობანი მიქელის კრებულში“⁶.

თუ გიორგი მთავარმთავარის კრებულში მიქელის სახელით წარწერილობა წმინდა გიორგის შესახებ შედარებით ითავნე მინის კანონი იმავე წმინდანზე (სინას მთის № 2 ქართული ხელნაწერი), თვალწინა გაცნობა მათი გენეტიკური კავშირი. თითოეული კანონი ცხრა გალობისაგან შედგება, ამასთან მეორე ტექსტი მოცულია ითავნე მინის პირველს: გიორგი მთავარმთავარის კრებულში მოთავსებული ვერსია ორმოცდათ ტროპარს შეიცავს (გალობაში ხუთი ამ ექვსი ტროპარია, „ღმრთისმშობლისათა“ ჩაგვლით), ხოლო სინური ხელნაწერით შემონახული ტექსტი — ორმოცდაცხრამეტს (გალობას შეადგენს ექვსი ამ შვიდი ტროპარი). მიქელის ვერსიაში ტროპარია რაოდენობა ყოველი გალობის ფარგლებში ერთი ნაკლებია სინურ, ანუ პირველ ვერსიათაან შედარებით. მეორე ვერსიის II—IX გალობანი ისე არაა შეფარდებული სინურ ვერსიათაან, რომ ამ უკანასკნელის ნებისმიერ ტროპარს, გალობის დასაწყისი ტროპარის გამოხატებით, მეორე ვერსიაში მინარსობილად შესაბამისა იმავე გალობის მომდევნო ტროპარს; მაგალითად, II გალობაში პირველი ვერსიის მეორე ტროპარს შესატყვისება მეორე ვერსიის პირველი ტროპარს, პირველი ვერსიის შესახებ — მეორე ვერსიის მეორე ტროპარი და ა. შ. ამ პრინციპს მეორე ვერსიის ავტორი (მიქელი) არ იცავს მხოლოდ II გალობაში. რაც შეეხება გალობათა უკანასკნელ ტროპარებს, მათში ყოველთვის მოსალოდნელია მოტივთა სისხლოვან ან გამოვლია. გიორგი მთავარმთავარის „ღმრთისმშობლისათა“ მთლიანად არ შეაქვს კრებულში, მაგრამ უთითებს მათზე მეორე ვერსიის „ღმრთისმშობლისათა“ დასაწყისი სიტყვები არცერთ გალობაში არ ემთხვევა პირველი ვერსიისას.

რადგან საგალობელთა მოხვედრა, ისე როგორც ქრისტიანული ხელოვნების ყველა სხვა დარგის შემოქმედნი, ბაძვის პრინციპით ხელმძღვანელობენ, კიმორწერიის მკვლევარს არასწორი დასკვნის გამოტანის საფრთხე ემუქრება, თუ სხვადასხვა ტექსტის გენელოგიის დასადგენად მათი შედარებითი განხილვის ილი მთავარ უ-

რადღებას აქცევს სიტყვიერი მასლის სისალოვეს. ჩვენ ვითავსებ-წინებით ამ საფრთხეს და მიგაჩნია, რომ გიორგი მთავარმთავარის კრებულში მიქელის სახელით წარწერილობა კანონი წმინდა გიორგზე მიერგაგება სინურ ხელნაწერში ითავნე მინის სახელით შემონახულ კანონს იმავე წმინდანზე — როგორც საუფლებს, რომელზე დაამყარებია არის შემნილი იგი (მიქელის ვერსია). შესაბამის ტროპარებში არსებობდა ერთი და იგივე მინარსისა გადმოცემული მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფორმით.

ორივე ხელნაწერში შესადარებელი ტექსტი გვეძლევა როგორც შესამე ვერტიდანი მისი საგალობელი. სინური კრებულის გადამწერი ითავნე მინის კანონის გალობათა ძლისპირებს არ ასახლებს. რაკაკორველია, ეს ფაქტი იმის სასაფრედოდ შეგვიძლებს, რომ ითავნე მინის კანონი თვითავთავს წარმოადგენს (პ. ინგოროვეცს „ოთხ-ძლისპირნი“ უწოდა), ხოლო, რადგან ბიზანტიურ კიმორწერიისაში არ ჩანს საგალობელი, რომელიც შეიძლებოდა ჩავეყვანა ითავნე მინის კანონის დენად, უფრო უხესტად, მიველო ნაწარმობად, რომელიც საფუძვლად დაედო სინურ ხელნაწერში ქართველი პოეტის სახელით დასულ სიტყვებს, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში თვითავთავი კანონის თხზულება სინურ საქმეზე ქართულ ორიგინალურ საგალობელთან. გიორგი მთავარმთავარის კრებულში მიქელის სახელით წარწერილობა კანონი წმინდა გიორგის შესახებ ძლისპირების გამოყენების საფუძველზე არის აგებული; გიორგი მთავარმთავარი ყოველი გალობის დასაწყისში უთითებს ძლისპირს. ეს კანონი წარმოდგენილია ითავნე მინის კანონზე უფრო ვიანადლ კიმორწერიული კრებულში. რაკი შემოაღნიშნული კანონი ნაწარმობის ტექსტის სისალოვე ერთმანეთთან ვერსიათა ურთიერთდასაფუძვლებულობის საბაზის ატარებს და დღანია არ მოიქმნება ბერძნულ საგალობელ კიმორწერიისაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ითავნე მინის კანონი გადაწერისათვის ქართველი კიმორწერიისაში — მიქელს, რომლის სახელიც შემოთავსება გიორგი მთავარმთავარს.

გაუმართლებელი იქნებოდა გვევარაუდა, რომ მიქელი იყო ბერძენი კიმორწერიისა და გიორგი მთავარმთავარი ავტორის სახელი წარწერა თარგმანს, რომელიც დღანია დასახლება, — იმითომ რომ, ჯერ ერთი, ბიზანტიური კიმორწერიის ისტორია არ იქნის ასეთ შემოქმედს (მისი შესახებ მიუთითებს პ. ინგოროვეცს) და ბერძნულ მწერლობაში არ ჩანს ტექსტი, რომლის თარგმანსაც შეიძლება წარმოადგენდეს გიორგი მთავარმთავარის მიერ მიქელის სახელით წარწერილობა საგალობელი წმინდა გიორგზე, მეორეც — თუ ამ კანონს ითავნე მინის ნაწარმობის ვერსიადა მივიჩნევთ, მისი ქართული წარმოშობის დასაბუთება ხელს შეუწყობს იმ ფაქტის გამოყენებას, რომ ითავნე მინის კანონი ქართულ ორიგინალურ თხზულებად ესახებათ სპეციალისტებს. სახელდობრ, ასეთად თვლი-ან აღნიშნულ კანონს აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე.

იმისი კითხვა, რატომ ვაჩიზრება ქართველმა სასულიერო პოეტმა, სახელად მიქელმა, გადამწერებისა ითავნე მინის ნაწარმობით, დაინდია კილორწერილობა და რიტმულ სტრუქტურასთან ერთად ზოგი არ შეეცადა ტექსტში. რაკი აკოსტიკი გამოსატყვის წმინდანისაში ვედრებას კონკრეტულად გიორგი მეფისათვის, შეიძლება დავეუწყო, რომ მიქელს მიერ კილორწერილობის დაწესების ერთ-ერთი მიზნის იყო შეცვლილი ისტორიული ვითარება ან განსხვავებული გარემო, სადაც ასეთი ვედრება უაღვილო იქნებოდა, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია, რადგან არ ვიცით, სად და რა პირობებში მოღვაწეობდა მიქელი. საკითხი გადაწყდება, თუ შევძლებთ დადგინებას, რომ ის მიქელი, რომლის სახელიც წარწერილობა აქვს ითავნე მინის საგალობლის გადამწერების გზით მიღებულ ტექსტს გიორგი მთავარმთავარის კრებულში, არის იგივე მიქელ მორდეკელი.

საულოდსმობა, რომ მიქელ მორდეკელის იადგარის მოღვაწეული ნაწილი არ შეიცავს ითავნე მინის კანონს წმინდა გიორგის შესახებ პირველად ვერსიის სახით, — იმ ვერსიისა, რომელსაც ვიცნობთ

⁶ იგივე კრებულში, გვ. 789.

სინური კრებულის მიხედვით. ჩვენ გამოვარკვეით, რომ ეს კანონი XII საუკუნის სინურ ხელნაწერში მოთავსებული იყო ათი ნომერბის ათობრივ. მიქელ მორდელიუს იგი არ შეუტანია ნომერბისთვის საგალობლებს. კ. კვეკელიძე შემდგენარაგ ხსენის იმ მოვლენას, რომ მიქელ მორდელიუსს იადგარმა არ ჩანს თანვე მიწინას კანონი წმინდა გიორგიზე (მხედველობაში აქვს ტექსტი, რომელიც მოთავსებულია სინას მისი ხელნაწერში): „ყოველ მინიში მოღვაწეობა და წყნა სინას მთაზე, რის გამო, მოსაძებელია, მიქელს, რომელიც საქართველოში აგრძელებდა მასალას თავის კრებულისათვის, ამ კრებულის შედგენისას, თვისის გადგმა, სხვა კომპენი საზღვარგარეთელი მოღვაწის, მინჩასა, ჯერ ხელდა არა ქონდა“⁷. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იოანე მინჩის საგალობელი წმინდა გიორგიზე მიქელ მორდელიუსს თავის იადგარში შეიტანა არა იმ სახით, რომლითაც მოიპოვა და რომელზედაც წარმოდგენას გვაძლევს სინურ ხელნაწერში შემოხსნილი ტექსტი, არამედ გადაამუშავა, მნიშვნელოვანდ შეცვალა და გიორგი მთაწმიდელმაც სწორედ ეს ვერსია წარმოადგინა თავის ქინწორგაფილ კრებულში.

ყურადღებებს ვამახვილებთ შემდეგს გაგრძობებაზე: VI გალობაში თითქმის მინაარსობრივად ერთმანეთისადაც დამორჩეულია პირველი ვერსიის მე-3 ტროპარი და მეორე ვერსიის შესაბამისი, მე-2, ტროპარი. კერძოდ, პირველ ვერსიაში პოეტს უსაბაგოს გიორგის დასჯაზე „სატანჯველითა ბოროტითა“, მაგრამ არ ასახელებს, რა სატანჯველი იყო ეს, მეორე ვერსიაში კი აღნიშნულია წმინდანის გაკვრა ურმის თვალზე. პასუხი უნდა გაიკვს კონტრად. რისთვის დასჯებდა მეორე ვერსიის ავტორს სასჯელის დაკონკრეტება. საქმე იმაშია, რომ ეს თხზულება გიორგი მთაწმიდელს ოცდასამი აპრილის თარიღზე აქვს შეტანილი თავის კრებულში, ხოლო სინას მისი № 2 ქართულ ხელნაწერში ათ ნომერბის შესატარებულად საგალობლად ყოფილა წარმოდგენილი. აგიორგრაფისთა ცნობით, ოცდასამი აპრილს აღსურულია გიორგი მთავარმოწამე, ათი ნომერბი კი დაწვებულ იქნა მისი ურმის თვალზე გაკვრის სურვილის დღეს. ამის გამო ოცდასამი აპრილის საგალობელში პირდაპირ არის ნათქვამი ურმის თვალს მიცემის შესახებ, ათი ნომერბის საგალობელში კი პოეტი წერს:

„და დღეს დასაეს ურწმუნოთა
სატანჯველითა ბოროტითა
ახოვანა ქრისტესი წმიდა გიორგი“.

„დღეს“ სიტყვით იგულისხმება ათი ნომერბი და, მამასადამე, აქ დაპარაკია წამების იმ სახეზე, რომელზედაც მეორე ვერსიის ავტორი უთითებს შესაბამის ტროპარში. ამ საკითხთან დაკავშირებით დაავიკრდით აგრეთვე VII გალობის ერთ ადგილს. იოივე ვერსიის ვიშოწმებთ პარალელურად:

„ილია, ურმისთვალთა
ცეცხლებრ მგზებართა, ზელა
დრომორე მკურნალს, — ოცდასამე,
ხოლო დღეს მომწებ წმიდად
აგიორგი
ამაღლა ურმის თვალთა მით,
არა ცეცხლებრ მგზებართა;
დაპწმუალს რა მას ზელა
უწყალოთა, ჰგონებულს,
რათამცა მით
შოაქვლინეს იგი,
არამედ ცხოველ არს,
უქენისამელ“ (სინ).

პირველ ვერსიაში ასახულია ელიას ამაღლება და მას უკავშირდება წმინდა გიორგის წამება, რომელიც, პოეტის სიტყვით, „დღეს“ მოხდა. მეორე ვერსიის ავტორი პარალელურს ცვლის შედარებით, უღიას ამავს ან გადმოუცემს და, რაც მთავარია ჩვენთვის ამაგრად, წმინდა გიორგის გაკვრა ურმის თვალზე პოეტისათვის არ წარმოადგენს იმ დღით მომხდარ ამავს, როცა საგალობელი უნდა

წესრულდეს ეს ფაქტები დასტურებს, რომ სინას მისი № 2 ქართული ხელნაწერის პირველი ოთხი ვარკველი სწორედ იგი, ჰარველი ავაგებს, რომელიც ზემოთ დაფიქრებთ. გარდა ამისა, აკვარა ზდება, რატომ არ მოთავსებულია მიქელ მორდელიუსს იოანე მინჩის კანონი ათ ნომერბის თარიღზე, როგორც ჩანს, მიქელმა თავის კრებულში ოცდასამი აპრილის თარიღზე შეიტანა იოანე მინჩის წარწერების ვერსია, რომელიც მიქელსაც ეკუთვნის.

ერთ-ერთი არსებითი განსხვავება სინას მისი № 2 ქართულ ხელნაწერსა და გიორგი მთაწმიდელის «თეთრწმი» დაცულ ვერსიებს შორის იმნი მდგომარეობაში, რომ სინური ვერსიის გალობათა პირველ ტროპარებში, რომლებშიც პოეტი ბიბლიურ ამბებს გადმოგვცემს და ამით ნიადგეს აშხადებს გალობის ძირითად საგანზე გადასასვლელად, შესატყვისი არ მოგვუვება მეორე ვერსიაში. დანარჩენ ტროპარებშიც შესაძენვია, რომ გიორგი მთაწმიდელის კრებულში მოთავსებული ვერსიის ავტორი გვერდს უღლის საღვთო წერილის პერსონაჟთა მაგალითებს, რომლებსაც იყენებს იოანე მინჩი წმინდა გიორგის სინურის აუცილებლობის საყენებლად თუ მოწამის დეაწლის დასახტავად; ღერ. შემდეგი ტროპარები: I გალობაში — პირველი ვერსიის მე-5 და მეორე ვერსიის მე-3, IV გალობაში — პირველი ვერსიის მე-2 და მეორე ვერსიის შესაბამისი, VII გალობაში — პირველი ვერსიის მე-5 და მეორის მე-4. V გალობის მე-5 ტროპარში იოანე მინჩს იმ ბიბლიურ პერსონაჟს ასახელებს. გოლიათა, საულს და დავითს. მეორე ვერსიაში შესაბამის ადგილას მხოლოდ რთი მოგვანი იხსენიებენ: დავითი და გოლიათი (იხ. V გალობის მე-4 ტროპარი). საერთოდ, მეორე ვერსიის ავტორი ამოკლებს ტექსტს და ტოვებს ზოგიერთ საინტერესო მომენტს თუ დეტალს.

საყურადღებო შინაარსობრივი განსხვავება არსებობს ვერსიის შორის VIII გალობაში. პირველი ვერსიის მე-4 ტროპარი გადმოგვცემს, რომ წმინდა გიორგი კვლავ საკრიტიკოსი ჩაგვევს, რათა უღვით მეფეს „უქვჯერის სატანჯველი“ მოეფინებინა; მეორე ვერსიის შესაბამისი (მე-3) ტროპარის მიხედვით, ურჯული „უქვჯერისა და ურჯერისა გუნთათა“ განუწმინდად გიორგის და საკრიტიკოს ჩაად, ხოლო მოწამე გაუწო ჰიდს, „ცეცხლებრ შემეწმინდა და შემეწმინდელს“. სინურ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი არ შეიცავს საკრიტიკოს წამების სხეულს. ამ ვერსიაში დასაკრიტიკებელი სწინდებლობა ენიჭება წმინდანის გაკვრა ურმის თვალზე. საკრიტიკო ზამწვევების ამავი პოეტმა იმისთვის გამოიყენა, რომ აღენიშნა გიორგის საწამებლად გამოორტებული მეფის მზადების შესახებ, მაგრამ არ ჩანს, კონკრეტულად რა სატანჯველი განიცადა წმინდანმა. გიორგი მთაწმიდელის მიერ რადექტივობით ვერსიის შესაბამის ადგილას გადმოცემული წამება საკრიტიკო აღბათ დიდ როლს ასრულებდა წმინდა გიორგის სახის გამოკვეთაში, რაკი მეორე ვერსიის ავტორმა სწორედ ამ ეპიზოდზე შეუთითა. ეს ფაქტი ინტერესს იწვევს წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ საგალობლებში ცეცხლის სახესთან დაკავშირებული მხატვრული სიმბოლიკის შესწავლის თვალსაზრისით.

მიქელის სახელით დაცული ტექსტი განსხვავდება სინურ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტისაგან სტილის მხრივ. გადაამუშავებული ვერსიის ავტორს ახასიათებს მეტადრებით სავა და ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, უფრო სხარტი შეტყვევება. ლაიონური ფორმის ძიება განპირობებულია მისწარაგებით სისადავისადმი და არაიშვიითად შთარებად მხატვრული ექსპრესიის შესუტებით ან სახეობრივ ფორმის სრულად დარღვევით. მიქელის სახელით წარწერილი ვერსიის ავტორი ზედმეტად მიჩნევის ზოგიერთ მხატვრულ სახეს — ჭეჭთვანას, შედარებას, პოეტურ შეიხებას და სხვა, — რომლებიც წარმოდგენილია სინურ კრებულის საშუალებით მოღწეულ ტექსტში. ასეთ სახეებს შეიცავს (სინური ხელნაწერის მიხედვით) I—6, III—3, VI—2, VII—4, IX—5 და სხვ. მეორე ვერსიაში რიგ ადგილას ურჯულიყოფილია მხატვრული ეპითეტები, რომლებიც სინურ ვერსიაში ვკითხულობთ. ყურადღებას იქცევს ერთი კონტრას-

⁷ ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 172.



ტის მოხსნა გიორგი მთაწმიდელის მიერ რედაქტირებულ ვერსიაში. შევადართო ერთმანეთს შემდეგი ორი ტროპარა:

წმინდალსა შინა მადლთასა
 მადლობა მუხარაჲ ვენქნეს
 ბოროტად მკურნაჲსა მღვდელისასა,
 არაჲდ ამგლხოზნი მხიარულ
 იმგნესს
 კეთილად მოღვრუებასა მას
 ქრისტესი სიუფროსითაჲს
 და კმობლს ქრისტესს შიშარსა
 შიშეჲს მათსა
 ძლიერად, მონასა შენსა, რაჲთაჲ
 უღმრთოთა წინა დღედასა
 შენსა!
 (სინ. VIII, 6)

„ვანშხიარულდეს ღღეს ცანი და
 რაჲგანს იხილეს მოქმედსა მუხარაჲსა,
 გვიოტიე განსრულებულნი
 მღვდელმწიფითა,
 და ანგლხოზთა გენდნი
 კმობლდეს:
 დღედაჲსა მონასა შენსა,
 რომელნი წამებს მღვდელთა წინაშე
 და უღმრთოთა წინაშე —
 ღმრთოებასა შენსა!
 (მთაწმ. VIII, 5)

რომ გიორგიმ „დასაც გონიერი გოლიათ-მთავარი ბნელისაჲსა“ (V, 4). პირველ ვერსიაში გოლიათი სხვაგვარად ხსიათდება:

„დასაც გონიერი გოლიათ —
 სკუნოდ მარბოლ მტერი უჩინოა,
 სასიამაოდ ღმრთობასა შენსა,
 კეთილსა“ (V, 5).

VIII კატეხიზის მე-2 ტროპარში, პირველი ვერსიის მიხედვით, არ შეიცავს კონტრასტს, ხოლო მეორე ვერსიის ავტორი შესაბამის ადგილს (VIII, 1) ურუკლითა ყრღოსა უპირისპირებს წმინდა გიორგის ბრწყინვას, ნათელსა შინა ღმრთობისაჲს: „აქვს ხაზუსა-ნულია გიორგი მთავარმწიფის სახის კავშირი ნათელთან, რომელიც ღმრთობებით განისაზღვრება. ჩვენ ვეჭვობთ, რომ აღნიშნული ფაქტები მოწმობენ გიორგი მთაწმიდელის კრებულში დაცული ვერსიის ქართულ წარმოშობას; სწორედ ქართველ პოეტს უნდა გაეხმტკიცებინა წმინდა გიორგის საღვთო მამობად წარმოსახვა. საგალობლის გადაწმეველების მიზანი რომ ყოფილიყო ქართული თარგმნის დაახლოვება ბერძნულ დღდნთან, მაშინ მეორე ვერსიაში სხვა თავისებურებები იჩენდა თავს, ზემოაღწერილი სურათი კი გამოირიყვას იმ დაშვებას, რომლის მიხედვითაც მიქელი ბერძენი პოეტი იყო და გიორგი მთაწმიდელის კანონრაფიულ კრებულში მითაცხებული ვერსია ჩვენს მიერ გამოკვლეული კანონის უფრო ახლოს იდგა დღდნთან, ვიდრე იოანე მინჩხის სახელით შემონახული ვერსია. თუ გაივიწყლებს ქართული წმინდის სარწმუნოებრივ შესვლელთა განთავსების ისტორიას და წაიხსნა გიორგის მითოლოგიასა თუ კულტის ადგილს ქართულ ქრისტიანულ მსაყაროში, შეუძლებელია კანონა დადგევა, რომ იოანე მინჩხის ბერძნულთან თარგმნა იმნა წმინდა გიორგის შესახებ და უგულებელყო სწორედ ის ადგილები, სადაც გიორგი მთავარმწიფემ ხასიათებულა როგორც საღვთო მათობი. იოანე მინჩხისა და მიქელის ვერსიათა შედარების შედეგად იმ დასკვნადა მივიღებთ, რომ პირველი წარმოადგენს ქართულ ორიგინალურ თხზულებას, ხოლო მეორე — განსაკუთრებული ვერსიას, რომელიც რიტბული წყობით სრულიად განსაკუთრება პირველისაგან.“

პირველ ვერსიაში ანგლხოზთა მხიარულება მათობა მუხარაგბას უპირისპირდება, ხოლო მეორე ვერსიაში მხიარულებას იზიარებს ეს და ქვეყანა. ჩვენი აზრით, კონტრასტი, რომელიც ანგარდა თავს იჩენს წარმართული ტრადიციების გაცემა, სწორედ ამ უკანასკნელის დასაძლევად უნდა იყოს მოხსნილი მეორე ვერსიაში. აქ გასათავისწინებელია ის გარემოება, რომ ქრისტიანული მითოლოგიისთვის ქვეყნობდეს შედეგად მიიყრება და ზეციერის კავშირი და პოეტურ მეტაფორებს ამ კავშირის გაგებადა გაცხრება ქრისტიანობის ვიკოში. ასე რომ, ზემოაღნიშნული კონტრასტის შეცვლას ცისა და ქვეყნის საერთო მხიარულების გადმოცემით პრივილეგული მნიშვნელობა აქვს ვერსიათა ურთიერთდამიჯნაბეულების განსაზღვრისათვის. მეორე მხრივ, საკულტისმიმა, რომ, სწორედ იმ ვერსიის მიხედვით, რომელიც უფრო ადრინდელი ჩანს, წმინდა გიორგის წამებას განიღმინა მათობით და მათ მუხარაგბას მოიყავს ბიძი, როცა ანგლოზნი გამხიარულდებიან. შეიძლება ეს მომენტტი, რომელიც, უთუოდ, გაცილებით უფრო ძველი თქმულებით იმ მომდინარეობს, ატრალური დევიაციის კულტის დაძლევაზე მიუთითებდა და მინიშნებული იყოს, რომ წმინდა გიორგი მათობის დევიაციის მემკვიდრეა.

მეორე ვერსიის მოხვეული ცდილობს თავი აარილოს სინონიმებს. როგორც ჩანს, მისთვის უმთავრესია შედეგულების სისადავის პრინციპი; ზოგან პოეტურ სახეს ისე უარყოფს, რომ სათქმელს არ ამოკლებს. იშვიათ შემთხვევაში მიქელის სახელით წარწერილი ვერსიის ავტორი უმატებს ხატოვან სიტყვას, პოეტური სიროულე შეაქვს ტექსტში, აღიიერებს სახის ექსპრესიულობას. პირველი ვერსიის მიხედვით, დეიორმა ცეცხლმა გაანათა გიორგის გონება „უნათლეს ნაოლისა მზისა“ (II, 4); მეორე ვერსიაში წერია: „უნათლეს მისითოლისა“ (II, 3). ერთგან მეორე ვერსიის ავტორი გვერდს უვლის მხატვრულ შედარებას, რომელსაც შეიცავს პირველი ვერსია, და იქვე ისეთ პოეტურ სახეს იძლევა, რომელიც საინტერესოა წმინდა გიორგის მითოლოგიის გამოკვლევის თვალსაზრისით:

„წმიდათა სულნი
 მელა შინა ღმრთისათა
 ცხოველ არიან
 ქრისტეს მებადავებულანი,
 კვიანს დღესა სამკაულად,
 ვიოარცა მარგალიტნი
 მნათობიერნი,
 რაჲთაჲ თანა შენ ჰნათობ,
 რაჲთაჲ ქვეშეუ ღვირიტი,
 რაჲთაჲ მწუხრე ქრისტეს
 ვიკაულად მისთვისა“
 (სინ. VIII, 4).

„მართალთა სულნი მარდის
 ცელთა შინა საუფლოთა
 ცხოველ არიან და სუფივენი,
 რომელთა თანა
 ცხოველ ხარ და ჰარწყინავ,
 ყოველ ქვეშეუ ღვირიტი,
 ვიოარცა საღმრთოა მნათობი,
 რაჲთაჲთ სუამა ქრისტეს
 ვიკაულად მისთვისა“
 (მთაწმ. III, 3).

რიტმის მხრივ, მიქელის ვერსიაში იგრძნობა მეტი სიმსუბუქე. ამ სფეროშიც განხორციელებულია სისადავის პრინციპი. პირველ ვერსიაშია შედარებით, მეორე ვერსიაში ტროპარები ნაკლები რაოდენობის მონაკვეთებისაგან შედგება და ტროპარის შემთხვევაში უფრო მწირად თანაბრარცვლიან მონაკვეთებს ვხვდებით. მიქელის ვერსიაში ტროპარის რიტმული წყობა უფრო მოწმუნებელია. რაც შეეხება რითმიკადაც გალობის ტროპართა ურთიერთშესაბამის მონაკვეთების თანაბრარცვლიანობის პრინციპს, გალობის დროს იგი უთუოდ დაცული იყო როგორც პირველ, ისე მეორე ვერსიაში, მაგრამ ტექსტში ზოგან ირღვევა რაოდენობრივი შესაბამისობა მონაკვეთებს შორის, რაც კანონრაფიაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

ამრიგად, X საუკუნის ქართველი პოეტის — იოანე მინჩხის — საგალობელი, შთხვული მსოფლიო ეკლესიის წმინდანის — გიორგი მთავარმწიფის — თემაზე, სრულიად არის დაცული სინას მთის № 2 ქართულ ხელნაწერში (ფ. 3ა—4ბ, შემდგომ 24ა—25ა). ეს ნაწარმოები გადაუმუშავებია მიქელ მოდრეკლს. ამ გზით მივიღეთ მეორე ვერსია, რომელიც მიქელ მოდრეკელის იადგარში ოცდასამი აპირიუს თარიღზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. იგი უზემოგინანსა გიორგი მთაწმიდელის კანონრაფიულ კრებულსა, სადაც წარწერილია მიქელის სახელით. აღნიშნული ორი ვერსიის შედარება საყურადღებოდ მასალას გვაძლევს წმინდა გიორგის მითოლოგიის მეცნიერული გამოკვლევისათვის.

გიორგი მთაწმიდელის მიერ რედაქტირებული ვერსიის მოხვეული ამკვერებს წმინდა გიორგის კონტრასტს ბნელთან და, მასმასა-დაშე, მოწამეს გენისასავს როგორც ნათელს, როდესაც აღნიშნავს,



სახვოთა მსახიობები კინოგალაქაზე ბოქსები

ვასტანგ ნიკოლაიშვილი

ჩვენში კარგად იცნობენ პოპულარული ინდოელი მსახიობის, რეჟისორისა და პროდუსერის რაჯ კაპურის შემოქმედებას. მის კინოსურათებში „აგარა“, „ბატინი 420“, „სანგამი“ და სხვა, გამოხატულია დარბი, უსახლკარო და ჩაგრული ადამიანების ცხოვრება, მათი განუღებო. ამ ფილმებში იგი თვით გვევლინება ლირიკულ-კომედიური როლების შესანიშნავ შემსრულებლად.

რაჯ კაპური სსრ კავშირს რამდენჯერმე ესტუმრა. გაეცნო ჩვენს კულტურას, ხელოვნებას, ადამიანებს. მან გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის მსახიობების მონაწილეობით ახალი ფილმის გადაღება. ჩანაფიქრი მალე სინამდვილედ აქცია — ბომბეში მიიწვია საბჭოთა მსახიობების

ჯგუფი: სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტი უსუნი რიაბინკინა, ჩვენი ცირკის ოსტატები — საპაეო ტანნი-ვარჯიშე ლუდმილა პროფოროვა, მხატვრული აკრობატები — დები სვეტლანა, რაფაელა, თამარ და ვიქტორინა გოლიაქევი, კლოუნი ედვარდ სერვად, დათვების მომთვინიერებელი ვასილ კალინი, მავთულზე მოცეკვავე როსა პუსენიოვა, ვოლტიჟორები სფეროზე — ბორის ლაზარიანი და სლავა გორგოვი, საპაეო მფრინავები ბრედოები. კინოსტუდია „რაჯ კაპურ — ფილმი“ თითქმის ერთი თვის მუშაობის შემდეგ ჩვენი მსახიობები საშობოლოში დაბრუნდნენ. მავთულზე მოცეკვავე როსა პუსენიოვა კი თბილისში ჩამოვიდა საგას-

ტროლოდ. მან გაგვიზიარა ბომბეში გადაღებაზე ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი, ხოლო ქალაქ ჩრნივოვიდან, სადაც წარმოდგენებს მართავდა ქართული საცირკო კოლექტივი, მივიღეთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სვეტლანა გოლიაძის წერილი, რომელმაც შეავსო რ. პუსენიოვას ნაშრომი:

ბომბეში სხვადასხვა კომპანიის ათზე მეტი კინოსტუდია არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი პოპულარულია „რაჯ კაპურ — ფილმი“. აქ ჩვენმა მსახიობებმა პირადად გაიცნეს ინდოეთის კინემატოგრაფისტები, პოპულარული მსახიობები ნარგისი, რაჯენდარა ქუშარი, დარმინდერი, შამი კაპური და სხვები. იმ დღეებში რაჯენდარა ქუშარმა ახალსახლობა იზეიმა და ბანკეტზე საბჭოთა სტუმრებიც მიიწვია.

ბომბე ინდოეთის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია. „ამ დღემა ქალაქმა, — წერს ს. გოლიაძე, — ჩვენზე უაღრესად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ შესანიშნავი მდიდრული სასაღების გვერდით ვნახეთ ქობინები. ქალაქში მრავალი უსახლკაროა, რომლებიც ღამეს ქუჩებში, ტროტუარებზე ათევენ. ჩვენი დიდი სიმაპითა და სიყვარული დამისახურა რაჯ კაპურმა. იგი განსაკუთრებით გულისხმირი, კეთილი, ყურადღებიანი, საქმის მოყვარული და ენერგიული ადამიანია. ამიტომ მასთან მუშაობის დღეები ყოველთვის სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩება“..

ბომბედან 500 კილომეტრის მოშორებით ქალაქ პუნას მახლობლად მდებარეობს რაჯ კაპურის ფერმა, სადაც ორ დღეს სტუმრად იყვნენ საბჭოთა მსახიობები. აქ ახლოს გაიცნეს რაჯის ოჯახის წევრები — მეთულე რაბნი, ვაჟიშვილები — 23 წლის დაბუ, 17 წლის ჩინტუ და 6 წლის რაჯი, ქალიშვილები 21 წლის რიტა და 12 წლის რინა, დედ-მამა, ძმები შამი და შამი. სწორედ იმ დღეებში რაჯ კაპურს 44 წელი შესურულდა. დღობას ჩვენი მსახიობებიც დაესწრნენ. ფერმიდან დაბრუნების შემდეგ 8 ათას ადგილიან ცირკ — შაბიტამი ნახეს „ჯამიის“ წარმოდგენა, რომელსაც მათზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. სწორედ ამ ცირკის საბირებზე წარმოებდა რაჯ კაპურის ახალი კინოსურათის შუგირთი ეპიზოდის გადაღება, რომელშიც საბჭოთა ცირკის მსახიობები მონაწილეობდნენ.

„მე კოლენს მესძახიან“ — ასე ეწოდება ამ ფილმს. ეს გასაკვიო მოთხრობა იმ ადამიანზე, რომელიც დიდი განცდებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად გახდა მსახიობი — ცირკის კლოუნი. მავთულელი გვრანზე ნახეს მათზეულ და ამავე დროს ნიღბლიანი ადამიანის ამაღლებულ ცხოვრებას.

სამ სერიიანი ფერადი მხატვრული ფილ-

მი შვიდი ნოველისაგან შედგება. მამის პროფესიასაც ოცნებობს კლოუნის ვაჟი რაჯი, რომელიც ბავშვობიდანვე შეეჩვია ცირკს. იგი გვის სარბიელს, ასუფთავებს ცხოველთა გალიებს, ასრულებს სხვა სამუშაოსაც და ვარდება სხვადასხვა ტრაგიკომიკურ სიტუაციებში. რაჯის შეყვარებულა თავისი ასალგაზრდა მასწავლებელი, რომელსაც მას ეს ბავშვურ გატაცება ჩუთვალა და ჭაბუკს შეგობობა აღუთქვა. რაჯმა მის კლოუნის გამოსახულების თოჯინა აჩუქა და სთხოვა, თუ როდესმე დაირღვეოდა მათი მეგობრობა, თოჯინა უკან დაებრუნებინა. გავიდა დრო. მასწავლებელი გათხოვდა, რაჯს თოჯინა უკან დაუბრუნდა. მან სწავლას თავი მიანება, დაიწყო მოხეტიალე მსახიობობა. ამ პერიოდში ინდოეთს საეპატროლოდ ეწვია საბჭოთა საცირკო დასი, რომელსაც იგი მიეცვლა — თავი ცხოველთა მწვინელად გაასადა. ინდოელმა მაცურებელმა კი იგი რუს მსახიობად ჩათვალა. გამოირკვა, რომ რაჯმა ცხოველთა მოთინიერებისა არაფერი იცოდა. „ყოველ ღონეს ვიხმარ და კლოუნი მაინც გახვდები, ვიმუშავე, რომ გამოვკვებო ავადმყოფი დედა“, — ფიქრობს რაჯი. ახლა ჭაბუკს შეყვარებდა საბჭოთა მსახიობი მარინა, რომლის დამხარებთაც იგი კლოუნი გახდება.

რაჯის დედა შემთხვევით შეიტყობს, რომ მისი ვაჟი ცირკში გამოდის. აღმოფოთებული ქალი წარმოდგენას დაესწრება, ამ დროს რაჯი ცრუ ილეთს აცემებს — ჭანღერძე მოწყდება და მანეჟზე დაეცემა. დედას ეგონა შვილი დამეღუპაო, ელდა ეცა, შოშით გული გაუსკდა და იქვე გარდაიცვალა.

გავიდა დრო. დამოავრდა გასტროლები — საბჭოთა დასი საშობოლოში დაბრუნდა. იგი მარტო დარჩა. ისევ ქუჩებში ხეტიალი, ისევ გაჭირვება, ეზოებში წარმოდგენების გამართვა. ამ „ტურნეში“ მან პარტნიორად ერთი ბიჭი აიყვანა. შემდეგ ირკვევა — იგი ბიჭის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონა ყოფილა. პარტნიორებს ერთმანეთი შეუყვარებდნენ: რაჯი ქუჩებში ასრულებს სხვადასხვა სახუმარო ნომრებს, ქალიშვილი ცხკვავს: გოგონას ოსტატობამ ერთ-ერთი კინოშეპატრონის ყურადღება მიიპყრო, იგი სტუდიაში საშუალო მიწვივა, ქალიშვილი დათანხმდა. რაჯს ამჟამადაც უმუხლა ბედმა — ისევ მარტო დარჩა.

გაჭირვებასა და სიმწელებში გადიოდა დღეები, რაჯმა სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავი კლოუნმა, ოსტატმა-აკრობატმა, მაგრამ... ერთი წარმოდგენის დროს იგი ნამდვილად მოსწყდა ჭანღერძის და სასიკვდილოდ დაშავდა. მაცურებელმა კი ეს კლოუნის მორიგ სახუმარო ილეთად ჩათვალა, მანეჟზე გართობულ მკვდარ მსახი-

ასეთი გვერდი მ აღწვინა ერთმა ინდოელმა გაბოტმა მამა ბომბიში საბჭოთა მსახიობების ჩასვლას.

CINE ADVANCE

WE SALUTE THE SOVIET CIRCUS

NOW SHOOTING FOR RAJ KAPOOR'S MERA NAAM JOKER

with A. L. KHAN and SHARDA ARORA



სურათზე მარჯვნიდან: რაჯ კაპური, თამარ ვიქტოროვა, სიელა, რაჯელა გოლოაკე უკრაინელი, ბორის ლაზარინი, კინოვადლებსისა.

ობს სიცილი დაყარა...

ასეთია ამ ტრაგიკომიკური ფილმის ფინალი.

სცენარის ავტორია ხოჯა აჰმედ აბასი, მუსიკა ცეკუთენის კომპოზიტორ შანკარ ჯაიკიმას, ჭაბუკი რაჯის როლს ასრულებს რაჯ კაპურის შვილი ჩინტუ, კლოუნისას — თვითონ რაჯ კაპური. მას დუბლიორობას უწევს ედვარდ სერვად. რაჯის შეყვარებული საბჭოთა მსახიობის მარინა როლი გამოდის ქსენია რიაბინკინა, რომელსაც დუბლიორობას უწევს ლუდმილა პროვოტროვა.

რაჯ კაპურის ახალ ფილმში მონაწილე საბჭოთა მსახიობთა ხელოვნებას კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი. ქ. რიაბინკინა უკვე მესამე სეზონი ცვეკვას სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე, ორი წლის წინ ა. ბტუშკოს ფილმში „სულთან მეფის

ზღაპარში“ ითამაშა მეფის ასულ გედის როლი.

კლოუნი ედვარდ სერვად თბილისის ცირკის სარილზე რამდენჯერმე გამოსულა. ამ ფილმში იგი მოდასაყოლოლ ფრანტს ასახიერებს. მაგრამ როცა ეს „სტილიაგა“ იწყებს რთული აკრობატული ნომრების შესრულებას, მაყურებელს ეცვლება შეხედულება — მას ხიბლავს ახალგაზრდა კლოუნის ცოცხალი, მზიარული რეპრიზები, სახუმარო სცენები, ენერგიული და მოქნილი ილეთები. იგი მახვილგინორულად ამოთრახებს ბიუროკრატებს, მჭერთაშვილებს, უსაქმურებს, თავისებურად, კლოუნისა ნინო განამტკიცებს ჩვენი დროის წინფორივ იდეალს. ე სერვად აღნაგობით ძალზე წააგავს რაჯ კაპურს, ამიტომაც აირჩია იგი ინდოელმა მსახიობმა დუბლიორად.

ქართული საცირკო კოლექტივის პროგრამაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ცეკვილიბრისტების გოლამაშეების ნომრებს. თავისუფალ კიბეზე ისინი ბრწყინვალედ ასრულებენ რთულეს ნომრებს. გამსაკუთრებული სილამაზით აღიწნება დიდი გოლამაშეების ერთი მსატკარელი აკრობატული ნომერი (ხელმძღვანელი სვეტლანა), რომელიც აერთიანებს პლასტიკურ ეტიუდებს, ორიგინალურ პირამიდებს, გაბედულ ილეთებს. რაჯ კაპურის ახალ ფილმში სწორედ ეს უკანასკნელი ნომრითაა შეტანილი.

აპრილა და მისში თბილისის ცირკში გამოდიოდა მათეულზე მოცეკვავე ახალგაზრდა მსახიობი როჯა პუენიუა. მისმა ისტატობამ მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ქალშვილი გაბედულად, ყოველგვარი დამაბულის გარეშე ასრულებს მათეულზე სხვადასხვა ცვეკვს. ამგანად იგი ამირან შალიაშვილის დახმარებით ამაზღდებს ახალ პანტომიმურ ნომრებს, რომელსაც შესარულებს მათეულზე.


ნიჭიერმა ახალგაზრდა მომთინიერებელმა ვასილი კალინინმა ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მრავალ ქალაქში წარმოადგინა თავისი ცნობილი სცენა „დათვი ტყესში“. მაყურებელს მოსწონის მსახიობის გამომჯობინებლობა, იუმორი, აოცებს მწერთნელის ისტატობა, როცა მისი ორფეხა პარტნიორი თითქოს ყოველთვის გონიერულად, საკმის ცოდნით აკეთებს — პატრონს ეხმარება ავტომანქანის შეკეთებაში. აქ დათვი მარსი წარმოგიადგება გამოცდილ მძღოლად და კარგ მექანიკოსად. იგი მწერთნელის მითითებას კი არ ელოდება, არამედ თვითონ ამაზღდებს მანქანას გასასერინებლად.

საცირკო მოღვაწეობის მხოლოდ ათი წლის სტაჟი აქვს საპაერო ტანმწავარჩმეს ლუდმილა პროვოტროვას. იგი თაღვემ დაკიდულ ქანდერძზე თავბრუდამხვევი ტემპით ასრულებს საკმაოდ სახიფათო ილეთებს.

ასევე რთული ნომრით, დასაცავი ბადის გარეშე, გამოდის საპაერო შფრინავი ბრედოების ჯგუფი.

ვოლტეორები სფეროებზე — ასე ეწოდება ბორის ლაზარანის ნომრს, რომელშიც სხეულთან ერთად მონაწილეობს თამარ გოლიაძე. თიხეული ორ დიდ სფეროზე გეინერებს აკრობატის იშვიათ ილეთებს, რომლებიც გამოირჩევიან ორიგინალობით, სირთულით, ტემპით, ლამაზი ეტიუდებით.

